განკარგულება:**g-135. 135242501**
თარიღი:**06/09/2024**

2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 4-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალების განთავსების ადგილი განისაზღვროს დანართის შესაბამისად. (დანართი N1 თან ერთვის).

2. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული შენობა ნაგებობების გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

3. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით.

4. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი სააგიტაციო მასაილს მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.

5. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას სააგიტაციო მასალა შემდეგი ზომებით: სიგრძე არაუმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი)

6. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილზე საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი სააგიტაციო მასალის მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 10 ცალით.

7. სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

8. დაუშვებელია და კანონით დადგენილი წესით ისჯება სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ის აკრძალულ ადგილას არ არის განთავსებული.

9. ეთხოვოს მესტიის მუნიციპალიტეტში მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებათა საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელებს, საარჩევნო სუბიექტებს, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყონ სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

10. ეთხოვოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებს კონტროლი გაუწიონ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.

11. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის შესაბამის სტრუქტულ ერთეულებს (საკრებულოს აპარატი, მერიის ადმინისტრაცია) განკარგულების გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

12. განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის N47 საოლქო საარჩევნო კომისიას

13. განკარგულება ძალაში შევიდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.

14. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი